საერთაშორისო ინტერნაციონალიზაციის გეგმა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის (სტუ)

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აღიარებს ინტერნაციონალიზაციას, როგორც გლობალური განვითარების მნიშვნელოვან ნაწილს, რომელიც ასახულია უნივერსიტეტის მისიასა და მიზნებში და წარმოადგენს საერთო საუნივერსიტეტო სტრატეგიის განუყოფელ ნაწილს.

მიზანი:
საერთაშორისო ინტერნაციონალიზაციის გეგმა მიზნად ისახავს სტუ-ის გლობალური პოზიციონირების გაძლიერებას, საერთაშორისო თანამშრომლობის ხელშეწყობასა და განათლებისა და კვლევის ხარისხის გაუმჯობესებას პარტნიორობის, კულტურული გაცვლისა და საერთაშორისო სტუდენტებისა და პერსონალის ჩართულობით.

1. სტრატეგიული მიზნები

1. **გლობალური ხილვადობის გაძლიერება:**
   სტუ-ის პოზიციონირება, როგორც წამყვანი ტექნიკური უნივერსიტეტი სამხრეთ კავკასიის რეგიონში.

2. **საერთაშორისო პარტნიორობის განვითარება:**
   გლობალურ უნივერსიტეტებთან, კვლევით ინსტიტუტებთან და ინდუსტრიის ლიდერებთან თანამშრომლობის განვითარება და გაძლიერება.

3. **საერთაშორისო სტუდენტების მოზიდვა:**

   საერთაშორისო სტუდენტების რეკრუტირება.
   საერთაშორისო სტუდენტებისთვის მიმზიდველი და მხარდამჭერი გარემოს შექმნა.

4. **აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების მობილობის ხელშეწყობა:**
   აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო გაცვლით პროგრამებში და კვლევით თანამშრომლობაში ჩართვის წახალისება.

5. **უცხოურენოვანი სასწავლო პროგრამების გაფართოება:**
   ინგლისურ და მსოფლიოში გავრცელებულ სხვა ენებზე პროგრამებისა და სასწავლო კურსების შეთავაზება.

6. **კულტურული გაცვლა და მრავალფეროვნება:**
   მრავალკულტურული გარემოს შექმნის უზრუნველყოფა, რომელიც მხარს უჭერს ინკლუზიას და კულტურათაშორის ურთიერთობებს.

2. ძირითადი ინიციატივები

ა. აკადემიური პროგრამები

1. **უცხოურენოვანი პროგრამების დანერგვა:**
   - უხცოურენოვანი სასწავლო პროგრამების (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, დოქტორანტურა) შემუშავება.
   - ერთობლივი/ორდიპლომიანი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ონლაინკურსების განვითარება პარტნიორ ინსტიტუტებთან თანამშრომლობით.
2. **სასწავლო პროგრამების ადაპტაცია:**
   - სასწავლო პროგრამების საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა.
3. **კვლევითი თანამშრომლობა:**
   - ერთობლივი კვლევითი პროექტების იმპლემენტაციის ხელშეწყობა მოწინავე საერთაშორისო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით.
   - მონაწილეობა გლობალურ კვლევით კონსორციუმებში და დაფინანსების შესაძლებლობებში.

ბ. პარტნიორობა

1. **ინსტიტუციური შეთანხმებები:**
   - მსოფლიოს მაღალრეიტინგულ ინსტიტუციებთან თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება.
   - პარტნიორობა ინდუსტრიის ლიდერებთან, საერთაშორისო და ადგილობრივი მასშტაბით, პრაქტიკებისა და კვლევითი შესაძლებლობებისთვის.
2. **ქსელები და ალიანსები:**

- მონაწილეობა საერთაშორისო უნივერსიტეტთა ქსელებში, როგორიცაა მაგალითად, EUA (ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაცია), შავი ზღვის უნივერსიტეტთა ქსელი და სხვ.
- Erasmus+ პროგრამებში აქტიური ჩართულობა.

გ. მობილობის პროგრამები

1. **სტუდენტების გაცვლა:**
    - მსოფლიოს მაღალრეიტინგულ უნივერსიტეტებთან პარტნიორობა გაცვლითი პროგრამების იმპლემენტაციისთვის.
    - სასტიპენდიო პროგრამების შეთავაზება საერთაშორისო და ადგილობრივი სტუდენტებისთვის.
    - უნივერსიტეტის სტუდენტებისთვის საერთაშორისო მობილობის შეთავაზება სწავლისა და სტაჟირების მიზნით.
2. **პერსონალის მობილობა:**
    - უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალისთვის საერთაშორისო მობილობის შეათავაზება უცხოეთის მაღალრეიტინგულ ინსტიტუციებში კვლევის, სწავლების, ტრეინინგის ჩატარების, კონფერენციაში მონაწილეობის მიზნით.
    - უნივერსიტეტის ადმინისტრაციული პერსონალისთვის საერთაშორისო მობილობის შეთავაზება უცხოეთის მაღალრეიტინგულ ინსტიტუციებში ინსტიტუციური კონტაქტების დამყარების ან/და გაღრმავების, პერსონალის საერთაშორისო კვირეულში მონაწილეობის, უცხოელი კოლეგების წარმატებული სამუშაო პრაქტიკის გაზიარების და სხვა წინასწარ განსაზღვრული მიზნით
    - მოწინავე საერთაშორისო ინსტიტუტებიდან მოწვეული აკადემიური და ადმინისტრაციული თანამშრომლების, მეცნიერებისა და ინდუსტრიის ექსპერტების მასპინძლობა.

დ. ინფრასტრუქტურა

1. **საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტი:**
    - საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტის საქმიანობის გაფართოება უნივერსიტეტში მიმდინარე ინტერნაციონალიზაციის პროცესების ეფექტიანი კოორდინაციისთვის.
    - საერთაშორისო სტუდენტებისა და პერსონალისთვის ვიზების, საცხოვრებლისა და ინტეგრაციის საკითხებში მხარდაჭერა.
2. **თანამედროვე ინფრასტრუქტურა:**
    - საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი თანამედროვე ლაბორატორიებისა და აუდიტორიების განვითარება.
    - უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურის ინკლუზიურობის და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.
3. **კულტურული ინტეგრაცია:**
    - საერთაშორისო სტუდენტური ფესტივალებისა და კულტურული გაცვლითი ღონისძიებების ორგანიზება.
    - საერთაშორისო სტუდენტებისთვის ქართულ ენასა და კულტურასთან დაკავშირებული სასწავლო კურსების შეთავაზება (კურიკულუმით ან ფაკულტატური).

ე. მარკეტინგი და რეკრუტირება

1. **გლობალური ბრენდინგი:**
    - ძლიერი ონლაინწარმომადგენლობის განვითარება უცხოურენოვანი ვებგვერდისა და სოციალური მედიის საშუალებით.
    - საერთაშორისო განათლების გამოფენებში მონაწილეობა.
2. **საინფორმაციო კამპანიები:**
    - რეკრუტირების მიზნობრივი რეგიონების შერჩევა, როგორიცაა ევროპა, აზია და აფრიკა.
    - სტუ-ს პოპულარიზაცია საელჩოებისა და საკონსულოების მეშვეობით.

ვ. მონიტორინგი და შეფასება

1. **წარმატების მაჩვენებლები (KPI) ყოველწლიურად, 4 წლის განმავლობაში:**
    - საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობის 20%-ით ზრდა.
    - მინიმუმ 15 საერთაშორისო ინსტიტუტთან პარტნიორობის დამყარება.
    - საერთაშორისო ჟურნალებში კვლევითი პუბლიკაციების 10%-ით ზრდა.
    - გამარჯვებული პროექტების რაოდენობის ზრდა 15%-ით.
2. **უკუკავშირის მექანიზმები:**
    - საერთაშორისო სტუდენტებისა და პერსონალისთვის რეგულარული გამოკითხვების ჩატარება.
    - დაგეგმილი საერთაშორისო ინიციატივების ყოველწლიური განხილვები.
3. **ანგარიშგება:**
    - ყოველწლიური ანგარიშის გამოქვეყნება ინტერნაციონალიზაციის პროგრესისა და მიღწევების შესახებ.

თ. დროითი ჩარჩო

1. **მოკლევადიანი (1–2 წელი):**
    - უცხოურენოვანი სასწავლო პროგრამების გაფართოება და გლობალური ბრენდინგის კამპანიის დაწყება.
    - საკვანძო ინსტიტუციური პარტნიორობების დამყარება.
2. **საშუალოვადიანი (3–5 წელი):**
    - მობილობის პროგრამების გაფართოება და საერთაშორისო კვლევითი კონსორციუმების გაძლიერება.
    - საერთაშორისო აკრედიტაციის მოპოვება სტუ-ს სასწავლო პროგრამებისთვის.
    - ერთობლივი/ორდიპლომიანი საგანამანთლებლო პროგრამების რაოდენობის გაზრდა.

- საერთაშორისო კვლევით და ინსტიტუციური განვითარების პროექტებში მონაწილობის გაზრდა.